

პრესრელიზი



საქართველოს ინოვაციების
და თავმოლოცების სააგენტო



ტექნოპარკი და „ევროპულ სკოლა“ პარტნიორები გახდნენ

6 ივნისს, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და „ევროპულ სკოლას“ შორის გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთანამშრომლობის შესახებ. მხარეები ერთობლივი ძალისხმევით განახორციელებენ პროგრამებს, რაც ხელს შეუწყობს ევროპული სკოლისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ინოვაციების განვითარებას.

მემორანდუმის ამოქმედების შედეგად საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, როგორც პარტნიორი კომპანია, ხელს შეუწყობს ევროპულ სკოლას, ჩაერთოს საგანმანათლებლო და ტექნოლოგიურ სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვან პროგრამებში; რაც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ტექნოლოგიური და კომპიუტერული მეცნიერებების კუთხით მოსწავლეთა ცოდნის, უნარების და დამოკიდებულებების განვითარებისთვის და გაღრმავებისთვის.

ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო და ევროპული სკოლა მიზნად ისახავს: მოსწავლეებში ინოვაციური იდეების სტარტაპებად ფორმირებისთვის საჭირო პროგრამების ორგანიზებასა და მხარდაჭერას; მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავების მიზნით საჯარო ლექციების, სემინარების, ტრენინგების,



პრესრელიზი

მასტერკლასებისა და სხვადასხვა ტიპის კონკურსების ორგანიზებას; მოსწავლეებში ინოვაციური აზროვნების ხელშემწყობი ლოკალური და საერთაშორისო კონკურსების და პროგრამების ორგანიზებასა და მხარდაჭერას, თანამშრომლობა ე.წ. „STEM“ მიმართულებით ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარებას ახალი ლაბორატორიებისა და სასწავლო მიმართულებების დანერგვის მიზნით.

მემორანდუმს ხელი სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ზვიადაძემ და ევროპული სკოლის დირექტორმა ნანა მოსიძემ მოაწერეს. შეხვედრა ევროპულ სკოლაში გაიმართა.

შეგახსენებთ , რომ „ევროპული სკოლა“ ,, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ შვილობილი კომპანიაა.

6.07.2017

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

